

საქართველოს მეფუტყრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

პარკუჭა ბარძუის
დაავადება

პარკუჭა ბარტყის დაავადების, Sacbrood (SBV), გამომწვევი ვირუსია Morator aetatus, რომლითაც ინფიცირდება მეთაფლია ფუტკრის ფუმფლი, ასევე მოზრდილი ფუტკარიც, მაგრამ მოზრდილებში ვირუსის სიპტომატიკა ძნელად შესამჩნევია. დაავადებულ ოჯახში დაავადების არსებობა თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა ფუმფლი ავადდება.

სიმპტომები:

- ქრელი ბარტყი;
- ინფიცირებული ფუმფლი ილუპება ჭუპრობამდე ფაზაში;
- ფუმფლი ილუპება, როცა უჭრაში იმართება და თავი წამოწეულია (ბანანის ფორმა);
- მკვდარი ფუმფლი ფერს იცვლის თეთრი ქათქათადან მოყვითალომდე, შემდეგ ყავისფერში გადადის. გამუქება იწყება დალუპული ფუმფლის თავიდან და ვრცელდება მთელს სხეულზე;
- კანი იქცევა ხისტ, ელასტიურ პარკად, რომელიც შევსებულია სითხით. დაავადებული ფუმფლი შეგვიძლია ფრთხილად მოვაცილოთ უჭრიდან მთელი სახით;
- დალუპული ფუმფლი პარკუჭა სტადიის შემდეგ გამოშრება და ლებულობს მუქ მოყავისფრო-მოშავო ფერს, რომლის მოცილებაც ადვილია უჭრიდან;





ეს დაავადება ხშირად ეშლებათ ამერიკულ სიდამპლში (AFB), რადგან ფუმფლი ილუპება გვიანდელ ქუპრამდე ფაზაში, როცა ფუმფლი მთლიანად გამართულია უჯრის ქვედა კედლის გაყოლებაზე და რომელშიც ილუპება AFB-თი ინფიცირების შემთხვევაშიც. თუმცა განსხვავება ისაა, რომ Sacbrood-ით ინფიცირებისას დაავადებული ფუმფლი არასდროს ილუპება ქუპრის ფაზაში. დაავადებული ფუმფლი შეიძლება იმყოფებოდეს როგორც გადაბეჭდილ, ისე გადაუბეჭდავ უჯრებში. თუ უჯრები გადაბეჭდილია, მაშინ ჩაზნექვა და ჩაჩვრეტა ვლინდება ზუსტად ისე, როგორც AFB-ს შემთხვევაში.

Sacbrood-ით დაავადებული ფუმფლი დალუპვის შემდეგ ინარჩუნებს შედარებით მომრგვალებულ ფორმას, ვიდრე AFB-თი დალუპული ფუმფლი. ფუმფლის კანი, რომელიც ინფიცირებულია Sacbrood-ის გამომწვევი ვირუსით, ხისტი და პლასტიკური ხდება (ფოტო 1.) და ინარჩუნებს სეგმენტაციას, ხოლო AFB-თი ინფიცირების შემთხვევაში ასეთი გამოხატული სეგმენტაცია არ ხდება.



• ინფიცირებული ფუმფლი ადრეულ სტადიაზე

Sacbrood-ით ინფიცირებული ფუმფლი განიცდის ფერთა ცვლილებას: ყვითელიდან ყავისფერამდე, რუხიდან შავ ფერებამდე. AFB-თი ინფიცირებული ფუმფლიც განიცდის ფერთა ცვლილებას, მაგრამ უფრო ყავისფერ ფერებში და ბოლოს უკვე შავში გადადის. ამიტომ ფუმფლი, რომელიც ინფიცირებულია ადრეულ სტადიაში და ლეულობს ყავისფერ ფერს, ხშირად ეშლებათ AFB-თი ინფიცირებულებში.



Sacbrood-ით ინფიცირებულ ფუმფლის თავი უფრო მუქია, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები და თავი უმრავლეს შემთხვევაში წამოწეულია

AFB-თი ინფიცირებული ფუმფლის სხეულის ნაწილები ერთნაირი ფერისაა, თუმცა მკვდარი ფუმფლის ბოლო სტადიის დასაწყისში, როცა შრება თავის ნაწილი, უფრო მშრალი ხდება ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები.

თუ სანიტარმა ფუტკრებმა მკვდარი ფუმფლისაგან უჭრა არ გაათავისუფლეს, ვნახავთ, რომ მკვდარი ფუმფლი საბოლოოდ გამოშრება და მიიღებს შავ ფერს, რომელიც ჰგავს AFB-ს (თუმცა არ შეიმჩნევა ამერიკული სიდამპლისათვის დამახასიათებელი ე.წ. „ნისკარტი“). ამერიკული სიდამპლისგან განსხვავებით, ფუმფლის ნარჩენების მოცილება, პარკუჭა ბარტყის დაავადების შემთხვევაში, იოლია.

დაავადების ადრეულ ფაზაში, თუ ინფიცირებულ ფუმფლს ამოვიტანთ პინცეტის მეშვეობით, ის ჩამოვიცილება როგორც ჰარკი, აქედანაც მომდინარეობს დაავადების სახელი „პარკუჭა ბარტყის დაავადება“. თუ ვუჩხვლეტთ მკვდარ ფუმფლს, მისგან წყლის მსგავსი სითხე გადმოედინება. AFB-თი ინფიცირებული ფუმფლი მსგავს სიმპტომებს არ ავლენს.



დაავადებული ფუმფლი პინცეტის მეშვეობით ასე სცილდება უჯრის კედლებს.

Sacbrood –ის გამომწვევი ვირუსი მკვდარ ფუმფლში მალე კარგავს ვირულენტობას, მაგრამ ის მაინც ვრცელდება ძიძების მეშვეობით, რომლებიც დაავადებულ უჯრას ასუფთავებენ და კვებავენ სხვა ფუმფლებს. დაავადება წლის ნებისმიერ დროს შეიძლება განვითარდეს, თუმცა თავს უფრო იჩენს გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. დაავადება ქრება, როგორც კი ფუტკრის ოჯახში ნექტრის შემოდინება იწყება.

შესაძლოა ფუტკრის ოჯახში ჩარჩოზე დაავადების ნიშნები მხოლოდ აქა-იქ შეინიშნებოდეს, მაგრამ ყურადღების არმიქცევის შემთხვევაში, ჩარჩოს 90% დაავადდეს. ასევე საფუტკრეებში ოჯახების დაავადება შეიძლება ვარირებდეს 0-დან 100%-მდე.

ამ დაავადებისათვის რამე განსაკუთრებული მკურნალობის მეთოდები არ არსებობს. მისი ფუტკრის ოჯახში გავრცელების შემთხვევაში, უნდა ამოვაცალოთ დაავადებული ჩარჩოები (ჩარჩოები გავანადგუროთ), სკას ჩავუტაროთ დეზინფექცია და გადავხარშოთ ცვილში, შევქმნათ უბარტყო პერიოდი, შევცვალოთ დედა, უკეთესი გენეტიკის მქონეთი, და ოჯახს მივანწოდოთ ცილოვანი საკვები.

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი სანარმოო პრაქტიკა;
- ფიჭების მუდმივი განახლება;
- ჰიგიენური ფუტკრის ოჯახების ყოლა.

თქმითი ზედგანილია ავსენითი პაკავას მიერ



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება.
+995 599 99 87 98 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE